

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

კველი ქართული ენის კვლევები. 9.

კათოლიკე ეპისტოლეტა

ქართული ვერსიები

X—XIV საუკუნეთა ხელნაწილების მიხედვით

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი. 1956

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ПАМЯТНИКИ ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА. 9.

ГРУЗИНСКИЕ ВЕРСИИ
СОБОРНЫХ ПОСЛАНИЙ
ПО РУКОПИСЯМ X—XIV ВЕКОВ

издала

Кетевана Лорткипанидзе

под редакцией

А. Г. Шанидзе

ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Тбилиси. 1956

ქველი ქართული ენის ძეგლები. 9.

კათოლიკე ეპისტოლეთა
ქართული ვერსიები

X—XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით

გამოსცა

ქეთევან ლორთქიფანიძე

აკაკი შანიძის

რედაქციით

499.962.1



6-18146-

1981/661

შ ი ნ ა ა რ ს ი

რედაქტორისაგან	07
სინას მთის ხელნაწერების ტექსტი (C ¹)	09
ნაწყვეტები C რედაქციის ნუსხიდან.	1
ნაწყვეტები P რედაქციის ნუსხიდან.	13
Q და R რედაქციების ტექსტი	33
ქ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები და მათი ენა	105
I. ზოგადი ცნობები კათოლიკე ეპისტოლეთა და მისი ქარ- თულად თარგმნის შესახებ	105
II. ხელნაწერთა აღწერილობა	108
III. რედაქციები	112
IV. კათოლიკე ეპისტოლეთა წიგნების ენობრივი მოვლენები.	120
ტექსტისათვის	141
შემოკლებანი და დათქმული ნიშნები	143

ჩედაქტორისაგან

კათოლიკე ეპისტოლეთა წიგნი ქართული ნათარგმნი ლიტერატურის უძველეს ფენას განეკუთვნება. ქართულად იგი ადრეა წარმოშობილი (დაახლ. V საუკუნეში), მაგრამ ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ გვიანდელი (X და XI სს-ის საუკუნეების) ხელნაწერებით, ისიც ალბათ არაერთხელ გადახედული და შესწორებული. ამიტომ არ გვეუცხოვება, რომ შიგ ხანმეტ-ჰაემეტო ფორმები არ გვხვდება. დიდი ხანია ვგრძნობდით, რომ საჭიროა მისი მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა, მაგრამ ეს მხოლოდ ესლა-ლა მოხერხდა.

კათოლიკე ეპისტოლეთა ტექსტის დამუშავება და მის ენობრივ თავისებურებათა შესწავლა მივიანდე ქეთევან ლორთქიფანიძეს, ამჟამად ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, მისი ასპირანტობის დროს (1937—1942 წწ.). მან ხელ-მისაწვდომ ხელნაწერთაგან უკეთესები შეარჩია, შეისწავლა, გადმოწერა ტექსტები, შეუდარა ერთმანეთს და მოამზადა გამოსაცემად. ჩვენში დაცულ ტექსტთაგან სრულია მხოლოდ გ. მთაწმიდლის ნარედაქციევი და მისი შემდგომი ვადამუშავება — ეფრემ მცირისეული, ადრინდელი რედაქციებისა კი მხოლოდ ნაწყვეტებია შემონახული. რადგანაც ტექნიკურად უხერხული იყო, ეს ნაწყვეტები, რომლებიც ძველი (C და D) რედაქციების ტექსტებს შეიცავენ, მთლიანი ტექსტის პარალელურად დავუყენებინა, ამიტომ ისანი ცალკე გამოვეყავით და წინ დაებეჭდეთ (გვ. 1—31). გ. მთაწმიდლის რედაქციას კი (L-ს) პირისპირ დავუყენეთ ეფრემისეული ტექსტის (D-ის) ვარიანტები, რომლებიც, როგორც მოსალოდნელი იყო, მცირეა რაოდენობით.

ამ წიგნის გამოცემა რომ განვიზრახეთ, ვფიქრობდით, რომ გამოვეყნებდით მხოლოდ ჩვენში დაცულ ხელნაწერებს, რადგანაც ათონისა და სინას მთის ხელნაწერები ჩვენთვის ხელ-მიუწვდომელი იყო. მაგრამ მოხდა ისე, რომ ნაკლი რამდენადმე შევავსეთ. წიგნი მთლიანად აწყობილი იყო და ნაწილობრივ დაბეჭდილიც, რომ საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მიიღო ვაშინგტონიდან კონგრესის ბიბლიოთეკისაგან გამოწერილი იერუსალიმისა და სინას მთის ქართული ხელნაწერების მიკროფილმები, რომლებიც 1949—1950 წწ. გადაეღო სავანებოდ მოწყობულ ექსპედიციას პროფ. K. W. Clark-ის ხელმძღვანელობით¹.

¹ ექსპედიციას დავალებული ჰქონდა, გადაეღო სინას მთისა და იერუსალიმის ხელნაწერები. სივლე-გუჯარები და სხვა ისტორიული დოკუმენტები, რომელ ენაზედაც უნდა ყოფილიყვნენ ისინი: ბერძნულ, სლავურ, არაბულ, ასურულ, კობტურ, ქართულ, სომხურ, თუ სხვა ენებზე. ამის შესახებ ნახეთ: Kenneth W. Clark, *Microfilming Manuscripts at Jerusalem and Mt. Sinai*: Bulletin of the American Schools of Oriental Research, No 123, October, 1951; აგრეთვე:

Checklist of Manuscripts in the Libraries of the Greek and Armenian Patriarchates in Jerusalem microfilmed for the Library of Congress, 1949—50. Prepared under the Direction of Kenneth W. Clark, Director and general Editor of the Jerusalem Expedition, 1949—50. Washington, 1953 და

სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში გვევლუბოდა ორი X საუკუნის ხელნაწერი, რომლებიც, ა. ცაგარლისა და ი. ჯავახიშვილის აღწერილობათა მიხედვით¹, შეიცავდნენ კათოლიკე ეპისტოლეთა ტექსტს: **ც 17/ჯ 39** და **ც 16/ჯ 31**. არ ივარგებდა, ხელიდან გაგვეშვა ეს კარგი შემთხვევა და არ გამოგვეცა სინური ტექსტიც, რომელმაც ძლივს მოგვისწრო. ამიტომ მიკროფილმების მიღებისთანავე გადავალბინეთ აღნიშნული ნომრები (უკვე გადაიდებული სახით) და ქ. ლორთქიფანიძემ გადმოწერა ისინი სასტამბოდ. სინური ხელნაწერები აღენიშნეთ M და N ასოებით:

M (**ც 17/ჯ 39**) გადაწერილია 974 წელს. კათოლიკე ეპისტოლეთა ტექსტი სრულია და მოთავსებულია შემდეგ გვერდებზე: 87v — 128v.

N (**ც 16/ჯ 31**) გადაწერილია 977 წელს. კათოლიკე ეპისტოლეთა ტექსტისა ნაწყვეტია შემორჩენილი (იაკ. 1, 1 — 2, 14 ვიდრე: „უკეთუ ვინმე თქუას სარწმუნობაჲ...“) და უჭირავს შემდეგი გვერდები: 118v — 121v.

სინური ხელნაწერები აღრინდელია, ამიტომ გასაგებია, რომ დანართი („უწყებანი“ და „თავნი“) შიგ არ მოიპოვება. რაც შეეხება თავებად დაყოფას, იგი აქ სულ სხვაგვარია, ვიდრე ახალი (L და O) რედაქციის ხელნაწერებში: აქ თავების ნუმერაცია ცალკეული ეპისტოლეების მიხედვით კი არ არის გაკეთებული (როგორც ეს ახალი რედაქციის ხელნაწერებშია), არამედ საერთო თავიდან ბოლომდე². ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ტექსტის ერთ ნაწილში (I პეტრე 1, 1 — 3, 17) თავების საერთო დანომრვას კერძობითიც ახლავს: 11/1, 12/2, 13/3 და ასე შემდგომ 19/9-მდის; შემდეგ კვლავ საერთო ნუმერაცია მიდის (20-დან 41-მდე), ოღონდ გამორჩენილია 32-ე³.

სინური ხელნაწერების ტექსტი დაბეჭდილია M-ის მიხედვით, რომელშიც საკმაოდ მოიპოვება ლაფსუსები და ორთოგრაფიული შეცდომები, N-ის ვარიანტები სქოლიოშია ჩატანალი, გარდა ორიოდ შემთხვევისა, როდესაც M-ში მცდარი ფორმაა, N-ში კი — სწორი და ეს სწორი ფორმა ტექსტში ამოვიტანეთ.

რედაქციულად სინური ხელნაწერების ტექსტი უფრო C-ს მისდევს, ვიდრე F-ს, ამიტომ იგი C¹-ით აღენიშნეთ და სულ თავში მოვაქციეთ.

ა. შანიძე

15.VII.1956.

თბილისი

Checklist of Manuscripts in St. Catherine's Monastery, Mount Sinai micro-filmed for the Library of Congress, 1950. Prepared under the Direction of Kenneth W. Clark, general Editor of the Mount Sinai Expedition, 1949 — 50. Washington, 1952.

¹ А. Чагарели, Каталог грузинских рукописей Синайского монастыря (Православный Палестинский сборник, т. IV, Выпуск первый, СПб. 1888, Приложение II, стр. 193 и след. = Сведения о памятниках грузинской письменности. Выпуск второй. СПб. 1889, стр. 51 и след.).

ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947.

² თავებად დაყოფა N-ში, შემონახული ნაწყვეტის ფარგლებში, საეკლესიო ვიანამება M-ისას, ოღონდ, M-ისაგან განსხვავებით, ყოველ თავს აქვს სათაური: იაკობის კათოლიკე.

³ მეორე ნუმერაცია (კერძობითი) თითქო მერმინდელი ხელთაა მიწერილი.